საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ივლისი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 12,444.0 მლნ ლარი	106.3% 6 თვის გეგმის	50.6% წლიური გეგმის
გადასახდელები - 11,794.6 მლნ ლარი	99.4% 6 თვის გეგმის	47.1% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 649.4 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,596.3 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -79.8 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 12,444.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 50.6%-ს და 6 თვის გეგმის[1] (11,710.5 მლნ ლარი) 106.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,728.4 მლნ ლარით (16.1%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 6 თვეში **გადასახდელების** შესრულება 11,794.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 47.1%-ს და 6 თვის გეგმის (11,869.4 მლნ ლარი) 99.4%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 6 თვის მაჩვენებელს 1,834.7 მლნ ლარით (18.4%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 6 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (104.3%), არაფინანსური აქტივების კლებისა (135.5%) და ვალდებულებების ზრდის კომპონენტები (128.3%) მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებს შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებელი აქვს და 6 თვის გეგმის 92.3%-ს შეადგენს.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, 6 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს ხარჯებისა (97.6%) და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს (110.3%). მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (191.7%), ვალდებულებების კლების კომპონენტს კი შესრულების დაბალი მაჩვენებელი აქვს (89.9%).





[1] 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 6 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 649.4 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 ივლისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,226.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 6 თვეში 1,596.3 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -79.8 მლნ ლარი შეადგინა.





გადასახადების შესრულებამ იანვარ-ივნისში 9,915.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის გეგმის 105.5%-ს და წლიური გეგმის 51.9%-ს შეადგენს. 6 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი შესრულების კარგი დონით ხასიათდება (მ.შ. გამოირჩევა აქციზი 16.9%-იანი გადაჭარბებით) და 95.5%-116.9%-ის ფარგლებში მერყეობს (რაც შეეხება სხვა გადასახადს, 6 თვეში დაიგეგმა 87.0 მლნ ლარი, ფაქტობრივი მოცულობა კი 110.8 მლნ ლარს შეადგენს). წინა წელთან შედარებით გადასახადების მოცულობა გაზრდილია 1,878.4 მლნ ლარით (23.4%-ით), ძირითადად, საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად, 18.0%-იანი 56.1%-იანი და 9.9%-იანი მატების გავლენით.

ხარჯების შესრულებამ 6 თვეში 9,306.6 მლნ ლარი შეადგინა, 6 თვის გეგმის 97.6% და წლიური გეგმის 48.7%. 6 თვის გეგმასთან მიმართებით, შესრულების მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სუბსიდიების (104.5%), გრანტებისა (100.4%) და სოციალური უზრუნველყოფის (100.7%) მუხლები, კარგი შესრულებით ხასიათდება შრომის ანაზღაურების მუხლი (96.5%), შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვს საქონლისა და მომსახურების (93.2%) პროცენტისა (93.7%) და სხვა ხარჯების (92.0%) მუხლებს. წინა წელთან შედარებით ხარჯები 1,457.7 მლნ ლარით (18.6%-ით) გაზრდილია, ხარჯების ყველა მუხლის მატების გავლენით (მ.შ.სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 514.1 მლნ ლარით).





დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა*	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**10,715.6**	**24,569.5**	**11,710.5**	**12,444.0**	**106.3%**	**50.6%**
შემოსავლები	**9,091.2**	**20,731.0**	**10,451.9**	**10,902.8**	**104.3%**	**52.6%**
გადასახადები	8,036.7	19,115.0	9,399.8	9,915.1	105.5%	51.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,777.8	6,345.1	3,160.0	3,279.0	103.8%	51.7%
მოგების გადასახადი	1,112.9	2,690.0	1,605.0	1,736.9	108.2%	64.6%
დღგ	3,220.9	7,388.3	3,466.8	3,540.2	102.1%	47.9%
აქციზი	964.6	2,375.0	1,010.0	1,180.4	116.9%	49.7%
იმპორტის გადასახადი	71.4	150.0	71.0	67.8	95.5%	45.2%
სხვა გადასახადები	-111.0	166.6	87.0	110.8	127.3%	66.5%
გრანტები	176.9	266.0	136.2	172.6	126.8%	64.9%
სხვა შემოსავლები	877.5	1,350.0	916.0	815.1	89.0%	60.4%
არაფინანსური აქტივების კლება	**70.8**	**200.0**	**73.0**	**98.9**	**135.5%**	**49.4%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**170.8**	**300.0**	**220.0**	**203.0**	**92.3%**	**67.7%**
ვალდებულებების ზრდა	**1,382.8**	**3,338.5**	**965.5**	**1,239.2**	**128.3%**	**37.1%**
საგარეო	689.2	1,838.5	537.5	762.6	141.9%	41.5%
საშინაო	693.6	1,500.0	428.0	476.6	111.4%	31.8%
გადასახდელები	**9,959.8**	**25,030.4**	**11,869.4**	**11,794.6**	**99.4%**	**47.1%**
ხარჯები	**7,848.9**	**19,120.9**	**9,534.4**	**9,306.6**	**97.6%**	**48.7%**
შრომის ანაზღაურება	1,030.6	2,577.3	1,278.0	1,233.1	96.5%	47.8%
საქონელი და მომსახურება	987.2	2,232.0	1,162.2	1,083.7	93.2%	48.6%
პროცენტი	533.2	1,540.0	757.2	709.4	93.7%	46.1%
სუბსიდიები	424.3	1,044.9	493.9	516.3	104.5%	49.4%
გრანტები	541.5	1,513.0	737.6	740.7	100.4%	49.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,250.3	7,470.4	3,737.5	3,764.4	100.7%	50.4%
სხვა ხარჯები	1,081.8	2,743.2	1,368.0	1,259.0	92.0%	45.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,465.8**	**4,180.6**	**1,609.0**	**1,774.9**	**110.3%**	**42.5%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**123.4**	**305.6**	**59.1**	**113.3**	**191.7%**	**37.1%**
ვალდებულებების კლება	**521.8**	**1,423.4**	**666.9**	**599.8**	**89.9%**	**42.1%**
საგარეო	497.1	1,380.6	642.1	575.1	89.6%	41.7%
საშინაო	24.6	42.7	24.7	24.7	99.8%	57.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**755.7**	**-460.9**	**-158.9**	**649.4**		

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულების % 6 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**9,091.2**	**20,731.0**	**10,451.9**	**10,902.8**	**104.3%**	**52.6%**
გადასახადები	8,036.7	19,115.0	9,399.8	9,915.1	105.5%	51.9%
გრანტები	176.9	266.0	136.2	172.6	126.8%	64.9%
სხვა შემოსავლები	877.5	1,350.0	916.0	815.1	89.0%	60.4%
ხარჯები	**7,848.9**	**19,120.9**	**9,534.4**	**9,306.6**	**97.6%**	**48.7%**
შრომის ანაზღაურება	1,030.6	2,577.3	1,278.0	1,233.1	96.5%	47.8%
საქონელი და მომსახურება	987.2	2,232.0	1,162.2	1,083.7	93.2%	48.6%
პროცენტი	533.2	1,540.0	757.2	709.4	93.7%	46.1%
სუბსიდიები	424.3	1,044.9	493.9	516.3	104.5%	49.4%
გრანტები	541.5	1,513.0	737.6	740.7	100.4%	49.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,250.3	7,470.4	3,737.5	3,764.4	100.7%	50.4%
სხვა ხარჯები	1,081.8	2,743.2	1,368.0	1,259.0	92.0%	45.9%
საოპერაციო სალდო	**1,242.3**	**1,610.1**	**917.5**	**1,596.3**	**174.0%**	**99.1%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**1,395.0**	**3,980.6**	**1,536.0**	**1,676.0**	**109.1%**	**42.1%**
ზრდა	1,465.8	4,180.6	1,609.0	1,774.9	110.3%	42.5%
კლება	70.8	200.0	73.0	98.9	135.5%	49.4%
მთლიანი სალდო	**-152.6**	**-2,370.5**	**-618.5**	**-79.8**	**12.9%**	**3.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**708.4**	**-455.4**	**-319.8**	**559.6**	**-175.0%**	**-122.9%**
ზრდა	**879.2**	**305.6**	**59.1**	**762.7**	**1290.8%**	**249.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	755.7	0.0	0.0	649.4		
სესხები	122.3	305.6	59.1	112.1	189.7%	36.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	**170.8**	**760.9**	**378.9**	**203.0**	**53.6%**	**26.7%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	158.9	0.0	0.0%	0.0%
სესხები	170.8	300.0	220.0	203.0	92.3%	67.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**861.0**	**1,915.1**	**298.7**	**639.4**	**214.1%**	**33.4%**
ზრდა	**1,382.8**	**3,338.5**	**965.5**	**1,239.2**	**128.3%**	**37.1%**
საშინაო	693.6	1,500.0	428.0	476.6	111.4%	31.8%
საგარეო	689.2	1,838.5	537.5	762.6	141.9%	41.5%
კლება	**521.8**	**1,423.4**	**666.9**	**599.8**	**89.9%**	**42.1%**
საშინაო	24.6	42.7	24.7	24.7	99.8%	57.8%
საგარეო	497.1	1,380.6	642.1	575.1	89.6%	41.7%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი